

## ღია მმართველობა და ჭკვიანი საზოგადოებები - დარეგისტრირდით საერთაშორისო ღონისძიებაზე!

ღია მმართველობა არის ფართო ცნება, რომელიც მოიცავს მრავალ განზომილებას. „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია“ (OECD) განსაზღვრავს მას, როგორც „მმართველობის კულტურას, რომელიც დაფუძნებულია ინოვაციურ და მდგრად საჯარო პოლიტიკასა და პრაქტიკაზე, შთაგონებულია გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და მონაწილეობის პრინციპებით, რაც ხელს უწყობს დემოკრატიას და ინკლუზიურ ზრდას“.

ზოგადად რომ ვთქვათ, ახალი ტექნოლოგიები და ციფრული ტრანსფორმაცია არის ძირითადი ასპექტები, რომლებსაც მივყავართ ღია მმართველობამდე, რომელიც ზრდის მონაცემთა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების ახალი გზების დანერგვას. ამის გათვალისწინებით, პროექტი „ვიდეო ატრიბუტების ტერმინალის ამწყობი და შემქმნელი“ („AVATAR“) შეიქმნა ღია მონაცემთა კულტურის პოპულარიზაციისა და მოქალაქეებში ციფრული საჯარო სერვისების გამოყენების გავრცელების მიზნით. იგი წარმოადგენს პარტნიორობას თორმეტ (12) საშუალო და მცირე ზომის ქალაქს შორის, რომლებიც მზად არიან ღია მმართველობისთვის. ტრადიციული ადმინისტრაციული საზღვრების გადალახვით, ოცდაოთხთვიანი (24) პროექტით შედგა ინტენსიური თანამშრომლობა თითოეულ მუნიციპალიტეტს შორის, რომელიც მოქმედებს, როგორც "ჭკვიანი საზოგადოება" და მიზნად ისახავს ციფრული კულტურის ხელშეწყობას მოქალაქეებისთვის, ფირმებისთვის და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის.

---

### დარეგისტრირდით საერთაშორისო ღონისძიებაზე 24-27 მაისს შიომში (იტალია)

„ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია“ (ALDA), თავისი ოპერატიული ფილიალის მეშვეობით მონაწილეობდა პროექტში "AVATAR", სადაც დააორგანიზაა ასზე მეტი ღონისძიება სამიზნე ზონებში და კოორდინაციას უწევდა პროექტს ადგილობრივ ხელისუფლებასთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციასთან და სხვადასხვა სექტორის დაინტერესებულ მხარეებთან: სკოლასთან, ტექნოლოგიების ფირმებთან და მოქალაქეთა არაფორმალურ ჯგუფთან.

დროა პროექტი "AVATAR" ახალ დონეზე ავიდეს: შეუერთდით საერთაშორისო ღონისძიებას 24-27 მაისს შიომში (იტალია), ისწავლეთ, გაიზიარეთ გამოცდილება და

პრაქტიკა, რაც შეგძენთ უნარს უკეთ გაუწიოთ კოორდინაცია აქტივობებს, ამასთან სარგებელს მოუტანს არა მხოლოდ პროექტის განხორციელებას, არამედ ჩაერთვებიან მცირე და საშუალო ქალაქების მოქალაქეები.

აქედან გამომდინარე, პარტნიორები ფიქრობენ ევროკავშირის აქტორების მიერ შეტანილი წვლილით "AVATAR"-ი გახდება ღირებული პროექტი. აქტორებს სჯერათ ციფრული მომავლის რომელიც ხელს შეუწყობს:

- გააუმჯობესონ, გააძლიერონ და გააფართოვონ ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობა;
- თანმიმდევრულ, გამჭვირვალე და ეფექტურ ურთიერთობას მოქალაქეებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებსა და საჯარო ადმინისტრაციას შორის, ევროსაბჭოს კარგი მმართველობის თორმეტი (12) პრინციპის შესაბამისად.

[იხილეთ დღის წესრიგი](#)  
[დარეგისტრირდით ღონისძიებაზე](#)